საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/128 "11" აგვისტო 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

„ზოგიერთი მოსამართლისათვის საცხოვრებელი ბინის დაქირავებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 13 მარტის №1/26 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

2020 წლის 31 ივლისს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე დიმიტრი გვრიტიშვილი, რომელიც სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების ადგილზე - ქ. ქუთაისში უზრუნველყოფილი იყო საცხოვრებელი ფართობით, დაინიშნა თბილისის სააპელაციო სასამართლოში, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ვასილ მშვენიერაძე დაინიშნა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ. შესაბამისად, აუცილებელია საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფილ იქნეს ვ. მშვენიერაძე და აღარ არსებობს დ. გვრიტიშვილისათვის ბინის დაქირავების საჭიროება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „ზოგიერთი მოსამართლისათვის საცხოვრებელი ბინის დაქირავებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 13 მარტის №1/26 განკარგულების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ვასილ მშვენიერაძეს".

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი